ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №100/გ

ქ. მცხეთა

08 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გივი გიუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ ინდ/მეწარმე „მალხაზი ვარძიაშვილის" სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2014 წლის 12 ივლისს სოფ. ქსოვრისში ქართულ ჭიდაობაში „ლაშარობისადმი" მიძღვნილი ღია ტურნირის მუსიკალური გაფორმებით უზრუნველყოფა და მთავარი პრიზის (ჯვდილა) შესყიდვა. (CPV03322100)(CPV18530000)

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2014 წლის 12 ივლისი.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 500 (ხუთასი) ლარი, მათ შორის 250 ლარი ჯვდილა და 250 ლარი მუსიკალური გაფორმება.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 საქონლის შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაურის საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მოლიანი საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი თამაზი გრძელიშვილი .

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"	„შემსყიდველი"
ი/მ „მალხაზ ვარძიაშვილი"	მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 31001036182	ს/კოდი: 236094196
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს	ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის
მცხეთის ფილიალი	ფილიალი
ბ/კ **LBRTGE22**	ბ/კ **LBRTGE22**
ა/ა **GE94LB0112188212764000**	ა/ა **GE93LB0120130269077000**
მის: მცხეთა რაიონი, სოფ. ქსოვრისი	მის: ქ. მცხეთა, ანტოფიის ქ. №7
ინდ.მეწარმე	მუნიციპალიტეტის გამგეები
მ. ვალიშვილი	ბ. ბუტაშვილი